პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. დეკემბრის 31. № 8 ნაწილი მეორე

შინაარსი:

21. წესდება სახელმწიფო სამრეწველო და მასთან დაკავშირებულ საბინაო მშენებლობის ტრესტისა „საქსახმრეწმშენი“-სა.

წესდება დამტკიცებულია 1929 წ. 13 ივლისს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ, ოქმი № 30, § 2.

წ ე ს დ ე ბ ა

სახელმწიფო სამრეწველო და მასთან დაკავშირებულ საბინაო მშენებლობის ტრესტისა „საქსახმრეწმშენი“-სა.

I. საერთო დებულებანი.

1. სამრეწველო და მასთან დაკავშირებულ საბინაო მშენებლობის საწარმოებლად, თანახმად 1929 წლის 7 ივნისის საქართველოს ეკონომიური საბჭოს დადგენილებისა და 1927 წ. 29 ივნისის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულებისა (კან-თა კრებული 1927 წ. № 39, მუხ. 392) დაარსებულია რესპუბლიკანურ მშენებლობის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტი, სახელწოდებით— „სახელმწიფო სამრეწველო მშენებლობის ტრესტი“, რომელიც იმყოფება საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში.

2. სახელმწიფო სამრეწველო მშენებლობის ტრესტი შეადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს, მოქმედებს კომერციულ გამოანგარიშების საფუძველზე და ს.მ.უ.ს. მიერ დამტკიცებულ საგეგმო ამოცანების მიხედვით. რეგისტრაციის დღიდან სახელმწიფო სამრეწველო მშენებლობის ტრესტს ენიჭება იურიდიული პირის უფლება.

3. ყველა თავის ვალდებულებებზე საქსახმრეწმშენი პასუხს აგებს მხოლოდ იმ თავის ქონებით, რომელზედაც არსებულ კანონმდებლობით შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

სახელმწიფო ხაზინა საქსახმრეწმშენის ვალებზე პასუხს არ აგებს და აგაგრეთვე ტრესტის ქონებაზე არ შეიძლება რაიმე სახელმწიფო დავალიანების და ვალდებულებათა გადახდევინების მიქცევა.

4. საქსახმრეწმშენს შეუძლია აწარმოვოს ს.ს.რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე ყველა ოპერაციები, მათ რიცხვში საჭირო, ამ წესდების § 1-ში აღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად.

შენიშვნა. საგარეო ვაჭრობაში საქსახმრეწმშენი მონაწილეობს სათანადო კანონმდებლობით დადგენილ წესის მიხედვით.

5. საქსახმრეწმშენი ფლობს, სარგებლობს და განაგებს მის განკარგულებაში მყოფ ქონებას და იხდის საერთო სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს იმ გამონაკლისით, რომელიც აღნიშნულია 1927 წლის 29 ივნისის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-7 მუხლში და სპეციალურ კანონებში.

6. აუნაზღაურებლად საქსახმრეწმშენისაგან რაიმე მისი ქონების ჩამოკვეთა შეიძლება მხოლოდ 1927 წლის 29 ივნისის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-7 მუხლში ნაგულისხმევ წესების დაცვით.

7. საქსახმრეწმშენი იძენს და ასხვისებს საქონელს, რომელზედაც ფასები არ არის დარიცხული, მყიდველთან ან გამყიდველთან შეთანხმებით.

8. გარიგებების შეკვრის დროს საქსახმრეწმშენი ვალდებულია, ყველა თანაბარ პირობებში, როგორც კონტრ-აგენტებს, მისცეს უპირატესობა სახელმწიფო დაწესებულებებს და წამოწყებებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

9. სახელმწიფო ორგანოთა სასარგებლოდ საქსახმრეწმშენს, მის ამოცანათა მიხედვით, შეიძლება დაეკისროს სამუშაოთა შესრულება 1927 წლის 29 ივნისის სახელმწიფო ტრესტების 39 მუხლში ნაგულისხმევი წესით.

10. ყველა შემთხვევაში, რომელნიც გათვალისწინებული არ არიან ამა წესდებით, საქსახმრეწმშენი მოქმედობს თანახმად სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. 29 ივნისის დებულებისა და აგრეთვე არსებულ კანონების თანახმად.

11. საქსახმრეწმშენს აქვს ბეჭედი თავის სახელწოდების გამოსახვით.

II. საწესდებო კაპიტალი.

12. საქსახმრეწმშენის საწესდებო კაპიტალი, თანახმად სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წლის 29 ივნისის დებულების მე-10 მუხ. 1-ლი შენიშვნისა, განისაზღვრება 300.000 მანეთით.

III. საქსახმრეწმშენის სამმართველო—მისი უფლებანი და მოვალეობანი.

13. საქსახმრეწმშენის მართველობისათვის საქ. ს.მ.უ.ს. ნიშნავს მმართველს და მის მოადგილეს ერთი წლის ვადით.

შენიშვნა. ვადის გასვლამდე მმართველი და მისი მოადგილე შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქ. ს.მ.უ.ს. მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება მათი შეუფერებლობა მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისთვის.

14. საქსახმრეწმშენის სამმართველო მდებარეობს ქ. თბილისში.

15. მმართველი, თანახმად ამ წესდებისა და მომქმედ კანონების ფარგლებში, საქ. ს.მ.უ.ს. საერთო მეთვალყურეობის ქვეშ, აწარმოებს დამოუკიდებლად საქსახმრეწმშენის მთელ ოპერატიულ მუშაობას, განაგებს რა მის საქმეებს და მის განკარგულებაში მყოფ ქონებას; აწარმოებს ტრესტის გამგებლობაში შემავალ ყველა გარიგებებს და ოპერაციებს.

16. მმართველის გამგებლობას, კერძოთ, ეხებიან:

ა) წარმოების ორგანიზაცია და საქსახმრეწმშენში შემავალ ყველა წამოწყებათა საქმიანობის ხელმძღვანელობა;

ბ) საქსახმრეწმშენში შემავალ საწარმოვო წამოწყებათა მმართველობის დებულების დამტკიცება, თანახმად საქ. ს.მ.უ.ს. მიერ დამტკიცებულ ტიპიურ დებულებისა;

გ) შედგენა და წარდგენა საქ. ს.მ.უ.ს.-ში დასამტკიცებლად საწარმოო-საფინანსო გეგმებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შედგენა და წარდგენა საქ. ს.მ.უ.ს.-ში დასამტკიცებლად პერიოდული ანგარიშების და ბალანსების, მოგების განაწილების და ზარალის დაფარვის პროექტებისა;

ე) სალაროს მოწყობა დაწესებულ სისტემით, ანგარიშების და საქმის წარმოება;

ვ) მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა კოლექტიურ ხელშეკრულებების და ცალკე შრომის შეთანხმებათა დადება და საქ. ს.მ.უ.ს.-ში წარდგენა ტრესტის მთავარ ბუხჰალტერის დანიშვნის ან დათხოვნის შესახებ.

ზ) დაქირავება, იჯარით გაცემა და შენობების შეძენა და აგრეთვე აღნაგობის უფლების მიღება.

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის ანგარიშში აგებულ სახლების იჯარით გაცემა სწარმოებს საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით.

ი) მთელ ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე საქსახმრეწშენის ფილიალების გახსნა (განყოფილებისა, წარმომადგენლობისა, სააგენტოების და სხვა);

კ) გასვლისება და დაგირავება დაძველებულ ან უფარგის ნაშენებისა, ანაგებათა და მოწყობილობათა;

ყველა დანარჩენ შემთხვევაში გასხვისება და დაგირავება ს. მ. უ. ს. ნებართვით ნაშენებისა, ანაგებათა და მოწყობილობათა და აგრეთვე დაგირავება და გასხვისება ს. მ. უ. ს. ნებართვით აღნაგობის უფლებისა;

ლ) მოწყობილობათა და დამხმარე წამოწყებების იჯარით აღება და გაცემა ვადით 6 წლამდე; აღება და გაცემა ს. მ. უ. ს. ნებართვით მოწყობილობის და დამხმარე წამოწყებათა ვადით 6 წელზე ზევით, ხოლო საწარმოო წამოწყებების ვადის დამოუკიდებლად;

მ) ტრესტის ქონების დაზღვევა;

ნ) თამასუქების და სხვა ვალდებულებათა გაცემა და მიღება; თამასუქების აღრიცხვა; საკრედიტო ოპერაციების მოხდენა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებაში და კერძო პირებთან;

ო) საქსახმრეწშენის მიზნებისათვის საჭირო ყოველგვარ გარიგების, აქტების და ხელშეკრულებების დადება, მათ რიცხვში შემკვეთის სახელით ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც შეძენილ უნდა იქნეს შეკვეთის განსახორციელებლად მასალა ან მოწყობილობა; რწმუნების გაცემა;

პ) მონაწილეობის მიღება, საქ. ს. მ. უ. ს. ნებართვით სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანებებში, აგრეთვე სასინდიკატო კონვენციებში და საზოგადოებებში, რომლებიც არ ისახავენ მიზნათ მოგებას, რამდენთაც მათი ამოცანები ეთანხმებიან აქ წესდების § 1-ში აღნიშნულ მიზნებს;

რ) უფლება იძიოს და პასუხი აგოს სასამართლოში და აგრეთვე წარმომადგენლობა ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებებში მმართველის ან მისი მოადგილის სახით, ან რწმუნებულების საშვალებით, რომელნიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალურ მინდობილობებით.

17. ტრესტიდან გასული ქაღალდები ხელისმოწერის წესის შემოღება მმართველის მიერ. ყოველგვარი ხელშეკრულებანი, გარიგებანი, ვალდებულებანი, თამასუქები, ჩეკები და მინდობილობანი ხელმოწერილი უნდა იქნენ მმართველის ან მისი მოადგილის მიერ. საბუთები საფულო ხასიათისა დასტურდებიან ტრესტის მთავარ ბუხჰალტერის ხელის მოწერით. წლიური ანგარიშები და ბალანსები ხელმოწერილი უნდა იქნენ მმართველის ან მისი მოადგილის და საქსახმრეწშენის მთავარ ბუხჰალტერის მიერ.

18. მმართველი და მისი მოადგილე ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომები ამ წესდებაში აღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად, იჩენდნენ რა საჭირო მზრუნველობას და წინდახედულობას; და აგებენ დისციპლინარულ, სისხლის სამართლის და სამოქალაქო პასუხისგებას, როგორც მათდამი რწმენებულ ქონების მთლიანობაში, აგრეთვე სამეურნეო საქმის წარმოებაში, თანახმად არსებულ კანონებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. საქსახმრეწმშენის სპეციალური კაპიტალები და მოგება.

19. გარდა საწესდებო კაპიტალისა (§ 12) სდგება:
ა) სამორტიზაციო კაპიტალი,
ბ) სათადარიგო კაპიტალი,
გ) წამოწყების გაფართოვების კაპიტალი,
დ) მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი.
სხვა სპეციალური კაპიტალების შედგენა დაშვებულია მხოლოდ საქართველოს ეკონომიურ საბჭოს ნებართვით.

20. სამთო ტრესტის ქონების ამორტიზაცია სწარმოებს სახელმწიფო 1927 წლ. 29 ივნისის სამრეწველო ტრესტების დებულების 44 და 45 მუხლების წესების დაცვით.

21. მოგების და ზარალის რაოდენობის გადაწყვეტა, განაწილება მოგებისა და მისგან ანარიცხების გადადება სპეციალურ კაპიტალებში და ხაზინის შემოსავალში, ზარალის დაფარვა და აგრეთვე სპეციალურ კაპიტალების ხარჯვა სწარმოებს იმავე დებულების 44—49 მუხლების წესების დაცვით.

V. საქსახმრეწმშენის ანგარიში, მისი რევიზია და საქმიანობა.

22. ყოველწლიურად არა უგვიანეს 3 თვის შემდეგ საოპერაციო წლის დამთავრებისა, რაც აღირიცხება მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრიდან მომავალი წლის 30 ენკენისთვემდე, საქსახმრეწმშენის მმართველი ურდგენს საქ. ს.მ.უ.ს. განსახილველად და დასამტკიცებლად, შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ წესების დაცვით, შედგენილ ანგარიშს, ბალანსს, მოგებას და ზარალს ანგარიშს და აგრეთვე ზარალის დაფარვის და მოგების განაწილების პროექტს, თანახმად 1927 წლის 29 ივნისის სახელმწიფო და სამრეწველო ტრესტების დებულებისა.

ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის გადადება დაიშვება თანახმად საჯარო ანგარიშის წესებისა.

23. დამტკიცებული ბალანსი და ანგარიში საქსახმრეწმშენის მოგების და ზარალისა ცხადდება მმართველის მიერ, თანახმად საჯარო ანგარიშების წესებისა.

24. საქსახმრეწმშენის საქმიანობის რევიზიას აწარმოებს საქართ. ს.მ.უ.ს. მმართველი ვალდებულია წარუდგინოს ს.მ.უ.ს. ორგანოებს განსახილველად ყველა წიგნები და საბუთები, საქმეები და მიწერ-მოწერა და აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება რევიზიის და გამოკვლევის დროს.

25. არსებულ კანონებში გარკვევით აღნიშნულ გამონაკლის შემთხვევებისა, ხელისუფლების სხვა ორგანოებს, საქ. ს.მ.უ.ს. გარდა, უფლება არა აქვთ თავის კომპეტენციის ფარგლებში მისცენ საქსახმრეწმშენის მმართველს მითითებანი და მოითხოვონ მისგან ანგარიშის და ცნობების წარმოდგენა, გარეშე საქ. ს.მ.უ.ს. მეშვეობისა.

VI. წესდების შეცვლა.

26. საწესდებო კაპიტალის რაოდენობისა ან ამ წესდების სხვა ცვლილებანი სწარმოებს 1927 წლის 29 ივნისის სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-11 და მე-14 მუხ. დაცვით.

27. საქსახმრეწმშენი. სწყვეტს თავისი საქმიანობას ლიკვიდაციის, შეერთების, ან დაყოფის გზით, თანახმად სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების შესახებ 1927 წლის 29 ივნისის დებულების 55—64 მუხ. წესებისა.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა

მთავლ. № 745. ტირაჟი 150